წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

პირველადი წარმოების თანადაფინანსების კომპონენტი

საფუტკრე მეურნეობის მოწყობის ქვეკომპონენტი

- უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ამონაწერი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის შესახებ;
- მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა), სახელმწიფო იჯარის შემთხვევაში ამონაწერთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს იჯარის ხელშეკრულება (იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 წელს, იჯარის ხელშეკრულება უნდა იყოს რეგისტრირებული სსიპ– საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში);
- სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის ეროვნული სისტემის (NAITS) შესაბამისად გაცემული წერილობითი დოკუმენტი პოტენციური ბენეფიციარის საკუთრებაში არსებული სკების (ოჯახების) შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- საფუტკრე მეურნეობის მოწყობის ინვოისები ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;
- შესასყიდ სკაზე მიმწოდებლის მიერ პოტენციური ბენეფიციარისთვის გამოწერილი ინვოის(ებ)ი ან/და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ქართულ ენაზე, იმპორტის შემთხვევაში, ასევე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თითოეული ახალი სკისთვის ინდივიდუალური სკის უნიკალური ნომრების შესახებ;
  შენიშვნა:
  - *უნიკალური ნომერი უნდა შედგებოდეს მიმწოდებლის (მწარმოებელი/რეალიზატორი) საიდენტიფიკაციო ნომრისა და შესაბამისი რიცხვისგან. მაგ: საიდენტიფიკაციო ნომერი - 1, საიდენტიფიკაციო ნომერი - 2 და ა.შ. თითოეული პოტენციური ბენეფიციარის მიერ შესასყიდი სკების რაოდენობის მიხედვით;*
  - *უნიკალური ნომერი დატანილ უნდა იქნეს სკაზე იმ სახით, რომ იკითხებოდეს უნიკალური ნომერი სრულად და გარე ზემოქმედებიდან/ფაქტორებიდან გამომდინარე შეუძლებელი იყოს მისი პირვანდელი იერსახის ცვლილება.*
- მომსახურების მომწოდებელ ფიზიკურ პირთან ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მეწარმე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება ან/და ინვოისი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული დამფუძნებლების/მეპაიეთა კრების ოქმი თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმებისა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების შესახებ;

- პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა/ამონაწერი ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან კრედიტის დამტკიცების თაობაზე ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებების კომპონენტის ფარგლებში გასაცემი სესხის პარამეტრების შესახებ (გაცემული სააგენტოში განაცხადის წარმოდგენამდე არაუმეტეს 30 კალენდარული დღით ადრე);
- ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ ან ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არაუმეტეს 1 000 ლარის დავალიანების შესახებ ან შესაბამისი დოკუმენტი სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების ან მისი გადახდის ვალდებულების შესაბამისი კანონის საფუძველზე შეჩერების შესახებ (გაცემული სააგენტოში განაცხადის წარმოდგენამდე არაუმეტეს 30 კალენდარული დღით ადრე);
- პოტენციური ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები;
- სხვა დამატებითი დოკუმენტაცია სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში.